

გოგნის ქარის ელ.სადგურის გადამცემი ხაზის და ქვესადგურის კონცეპტუალური დიზაინი

სატენდერო პაკეტი მოიცავს:

ტენდერში მონაწილეობის წესები/ მოთხოვნას განფასებაზე

დანართი №1 ტექნიკური დავალება

დანართი №2 ხარჯთაღრიცხვა

თარიღი: 08 აგვისტო 2024

სარჩევი

1) შესავალი.....	2
2) ზოგადი პირობები	2
3) მითითებები ტენდერში მონაწილეთათვის	3
4) კომუნიკაცია და ინფორმაციის მოთხოვნა.....	3
5) სატენდერო წინადადების ფორმატი.....	3
6) მომსახურებისა და სამუშაოების ზოგადი აღწერა	4
7) გეგმა-გრაფიკი/შესრულების ვადები	4
8) ქვეკონტრაქტორი.....	5
9) კომერციული წინადადება	5
10) შეფასების პროცესი	5
11) დამატება ცვლილება	5
12) დოკუმენტაცია და კონფიდენციალურობა	5
13) დამატებითი მოთხოვნები.....	6

1) შესავალი

შპს გოგნის ქარის კომპანია (ს/კ 404643418) (შემდგომში “დამკვეთი”) აცხადებს ტენდერს ტექნიკური და კომერციული წინადადების მისაღებად (შემდგომში „სატენდერო წინადადება“) ტენდერში მონაწილეებისგან (შემდგომში “პრეტენდენტი”) გოგნის ქარის ელექტრო სადგურის გადამცემი ხაზის და ქვესადგურის კონცეპტუალური დიზაინის მომზადებაზე.

2) ზოგადი პირობები

- 1) დამკვეთი უფლებამოსილი მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი „სატენდერო წინადადება“, განახორციელოს შეკვეთის განთავსება ნაწილობრივ ან სრულად, წინამდებარე დოკუმენტის განფასების მიხედვით.
- 2) დამკვეთი დამოუკიდებლად მოახდენს სატენდერო წინადადების შეფასებას და მიიჩნევს მას, როგორც მოთხოვნების შესაბამისს ან არასრულს.
- 3) დამკვეთი უფლებამოსილი აწარმოოს პრეტენდენტებთან დამატებითი კომუნიკაცია დაზუსტების მიზნით. დამკვეთი არ არის ვალდებული გაუზიაროს სხვა მონაწილეებს, რომელიმე კონკრეტული პრეტენდენტისგან მიღებული მონაცემები. ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის გაზიარება, რომელიც საჭიროა წინადადების მოსამზადებლად დამკვეთის მხრიდან განხორციელდება ყველა პრეტენდენტის მიმართ ერთდროულად.
- 4) დამკვეთის მხრიდან სატენდერო წინადადების შერჩევა განპირობებული იქნება გამოცდილების, ხარისხის, შესრულების ვადების, საგარანტიო პირობების, ან სხვა რომელიმე კრიტერიუმის საფუძველზე და არა მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით.
- 5) ფინანსური წინადადებიდან გამომდინარე დამკვეთი უფლებამოსილია მოახდინოს გარკვეული კომპონენტების შეცვლა/ჩანაცვლება ან ამოღება წინასწარ განსაზღვრული ჩამონათვალიდან, ასევე აწარმოოს მოლაპარაკება დამკვეთის მოთხოვნების სრული შესაბამისობის მისაღწევად.
- 6) ტენდერის დასრულების თარიღის გასვლის შემდეგ, დამკვეთი არაა ვალდებული მიღებულ სატენდერო წინადადებაზე აწარმოოს მოლაპარაკება ან განათავსოს შეკვეთა ასეთი წინადადების წარმდგენ პრეტენდენტთან.
- 7) იმ შემთხვევაში, თუ წარმატებული პრეტენდენტი ვერ შეძლებს სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი პირობების დაცვას, დამკვეთი უფლებამოსილია გაუქმოს შეკვეთა/კონტრაქტი შერჩეულ კომპანიასთან საჯარიმო სანქციების გარეშე დამკვეთის მიმართ, და გადასცეს დაკვეთა სხვა პრეტენდენტს ან გაუქმოს ტენდერი.
- 8) სატენდერო წინადადება არ წარმოადგენს დაკვეთის შეთანხმებას ან ოფიციალური შეკვეთის ფორმას, პრეტენდენტის მიერ წინადადების წარდგენა ნებაყოფლობითია.
- 9) სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ ის გაეცნო ტენდერის ყველა მოთხოვნას და ვალდებულია დაიცვას ყველა ეს პირობა, დამკვეთის მხრიდან სატენდერო წინადადების მიღების შემთხვევაში. სატენდერო წინადადების მომზადებასთან და წარდგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება პრეტენდენტს, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული იქნება ეს წინადადება თუ არა დამკვეთის მხრიდან.

10) სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ. წინადადებაში დაფიქსირებული უნდა იქნას საკონტაქტო პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება მოლაპარაკებების წარმოებაზე ტენდერში მონაწილე კომპანიის მხრიდან.

11) სატენდერო წინადადება უნდა იყოს კომპანიის დასახელების მითითებით, კომპანიის ბლანკზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

3) მითითებები ტენდერში მონაწილეთათვის

- 1) ტენდერში მონაწილემ უნდა წარადგინოს წერილობითი დასტური ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებით და ხელმოწერილი გაუთქმელობის შეთანხმება, ტენდერის გამოცხადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის მანძილზე.
- 2) სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნას წინამდებარე მოთხოვნის გათვალისწინებით. სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა უნდა განხორციელდეს ელექტრონულად ვებ გვერდზე.
- 3) სატენდერო წინადადების წარდგენის (ატვირთვის) ბოლო ვადაა: 2024 წლის 30 აგვისტო 18:00 საათი. წინადადებები ატვირთული უნდა იქნას www.tenders.ge- ზე.

4) კომუნიკაცია და ინფორმაციის მოთხოვნა

- 1) ნებისმიერი კომუნიკაცია და ინფორმაციის მოთხოვნა ტენდერთან დაკავშირებით გაგზავნილი უნდა იქნეს წერილობით, შემდეგ ელ.ფოსტაზე: dgurgenidze@agenergy.ge. ყველა კითხვა გაგზავნილ უნდა იქნას ტენდერის დასრულების ვადის ამოწურვამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია არ გასცეს პასუხი მონაწილე კომპანიებს.
- 2) ნებისმიერ ინფორმაცია/პასუხი გაეგზავნება ყველა პრეტენდენტს წერილობით ელ.ფოსტით. ტენდერის დასრულების თარიღის შემდგომ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხი არ გაიგზავნება.
- 3) დამკვეთი რეკომენდაციას უწევს ტენდერში მონაწილეს ადგილმდებარეობის უკეთ შესასწავლად ადგილზე ჩავიდეს და შეამოწმოს სამუშაო ლოკაცია. ვიზიტის ხარჯებს უზრუნველყოფს ტენდერში მონაწილე.
- 4) სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5) სატენდერო წინადადების ფორმატი

პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი ფორმატით:

- 1) **ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ-** კომპანიის ზოგადი აღწერი, თანამშრომლების რაოდენობა, პროექტის შესრულებაში ჩართული თანამშრომლების რაოდენობა და კვალიფიკაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, მოთხოვნის მიხედვით;
- 2) **გამოცდილება:**

- ა) შესრულებული სამუშაოების ზოგადი ჩამონათვალი: ბოლო 5 წლის მანძილზე მსგავსი პროექტების ჩამონათვალი (დასრულებული და მიმდინარე);
- ბ) სარეკომენდაციო წერილი - მინიმუმ 3 დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე;
- გ) შემოთავაზებული ქვე-კონტრაქტორები (არსებობის შემთხვევაში)- კომპანიის დასახელება და ინფორმაცია, სამუშაო მოცულობა/აღწერა რომელისაც ქვე-კონტრაქტორი შეასრულებს;
- 3) ტექნიკური ინფორმაცია- მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია, გამოყენებული მასალის ტექ. დოკუმენტაცია, სამუშაო პროცესის აღწერა და ეტაპები;
- 4) შემოთავაზებული სამუშაო შესრულების დეტალური გეგმა-გრაფიკი ;
- 5) საგარანტიო პირობები
- 6) კომერციული წინდადება: ფასები წარდგენილი უნდა იქნას ლარში, დამატებითი ღირებულების ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სავალდებულო შენატანების ჩათვლით.

6) მომსახურებისა და სამუშაოების ზოგადი აღწერა

ტექნიკური დავალება 220კვ ელექტრო გადამცემი ხაზის და ქვესადგურის კონცეპტუალური დიზაინი გულისხმობს მოკვლევითი სამუშაოების წარმოებას და კონცეპტუალური დიზაინის წარდგენას.

ადგილმდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ.გოგნის მიმდებარედ

მიერთების წერტილი: ქ/ს-ზესტაფონი-500.

გადასაცემი სიმძლავრე: 103.5 მგვტ

დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ტექნიკურ დავალებაში.

სატენდერო წინადადებაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია: შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური სპეციფიკაცია, მწარმოებელი, საორიენტაციო ფასები და რაოდენობა.

დამკვეთი უფლებამოსილია მოსთხოვოს პრეტენდენტს შემოთავაზებული მასალის ჩანაცვლება სხვა სპეციფიფიკაციის ან მწარმოებლის საქონლით. კონტრაქტორს არ აქვს უფლება ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეცვალოს სატენდერო წინადადებით დამკვეთთან შეთანხმებული მასალა, შეთანხმებისა და წინასწარი წერილობითი დასტურის მიღების გარეშე.

7) გეგმა-გრაფიკი/შესრულების ვადები

გთხოვთ, წარმოადგინოთ სამუშაოების შესრულების პროცესის გეგმა-გრაფიკი ეტაპების მიხედვით.

8) ქვეკონტრაქტორი

ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია ნებისმიერ ქვეკონტრაქტორზე, რომელიც ჩაერთვება სამუშაოების შესრულებაში. ქვეკონტრაქტორი უნდა აკმაყოფილებდეს იმავე ხარისხის სტანდარტებსა, რაც მოთხოვნილია ტენდერში მონაწილის მიმართ. პრეტენდენტი პასუხისმგებელია ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოს ნებისმიერ მოცულობაზე.

9) კომერციული წინადადება

ფასები წარდგენილი უნდა იქნას ლარში, დამატებითი ღირებულების ჩათვლით, ფასი უნდა შეიცავდეს ტრანსპორტირების, მომსახურების ფასს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებსა და სავალდებულო შენატანებს.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დეტალური განფასება.

წარმოდგენილი ერთეული ფასები ფიქსირებულია, ან ღირებულების ცვლილების ალბათობის შემთხვევაში ფასწარმოქმნის დეტალური კალკულაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი (ვალუტის კურსი, ტარიფი და ასე შემდეგ).

10) შეფასების პროცესი

სატენდერო წინადადების შეფასების პროცესში, სატენდერო კომიტეტი შეაფასებს: კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, ხარისხს, კომერციულ ნაწილს, შესრულების ვადებს. შეფასების პირველი ეტაპის შემდგომ, შესაძლებელია განხორციელდეს კომუნიკაცია მონაწილე კომპანიებთან დამატებითი დაზუსტებების მიზნით.

11) დამატება ცვლილება

დამკვეთის მხრიდან სატენდერო პაკეტის ნებისმიერი ცვლილება ან დამატებითი ინფორმაცია გაიგზავნება წერილობით ელ. ფოსტის საშუალებით ყველა პრეტენდენტთან და გამოცხადდება tenders.ge-ზე. ტენდერში მონაწილემ თავის მხრივ უნდა დაადასტუროს ინფორმაციის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ცვლილების ან ინფორმაციის გათვალისწინება არ მოხდება სატენდერო წინადადებაში, დამკვეთი უფლებამოსილია არ მიიღოს ასეთი სატენდერო წინადადება.

12) დოკუმენტაცია და კონფიდენციალურობა

ყველა ნახაზი და ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც მომზადდება მიმდინარე ტენდერით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში წარმოადგენს დამკვეთის საკუთრებას. მათი გამოყენება, შეცვლა ან მესამე მხარისთვის გადაცემა დამკვეთის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალის განსაზღვრა მოხდება მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმების საფუძველზე.

მიმდინარე ტენდერის და პროექტის განხორციელების პროცესში გამოყენებული ყველა დოკუმენტაცია და გაცემული ინფორმაცია არის კონფიდენციალური. კონტრაქტორი და მისი ნებისმიერი ქვეკონტრაქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა.

13) დამატებითი მოთხოვნები

ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია და ქვემო ჩამოთვლილი დოკუმენტაცია დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე

- განახლებული ამონაწერი რეესტრიდან
- ვალიდური სერტიფიკატები/ლიცენზიები (ასეთის, არსებობის შემთხვევაში)
- სრული საბანკო რეკვიზიტები
- კომპანიას არ უნდა გააჩნდეს დავალიანება ბიუჯეტის მიმართ
- ბოლო სამი წლის მანძილზე სასამართლო დავების არსებობის შემთხვევაში, კომპანიამ უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია
- პარტნიორების ჩამონათვალი
- რეკომენდაციები

დანართი №1

გოგნის ქარის ელექტროსადგურის ქსელთან მიერთება:

ადგილმდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ.გოგნის მიმდებარედ
მიერთების წერტილი: ქ/ს-ზესტაფონი-500.

გადასაცემი სიმძლავრე: 103.5 მგვტ


ქვესადგურის საორიენტაციო კოორდინატები (დაზუსტდება პროექტირებისას):


ზედა მარცხენა: 42.288055 43.016522

ზედა მარჯვენა: 42.287166 43.017478

ქვედა მარცხენა: 42.286410 43.016391

ქვედა მარჯვენა: 42.287335 43.015318





ტექნიკური დავალება 220კვ ელექტრო გადამცემი ხაზის და ქვესადგურის კონცეპტუალური დიზაინი

- **I ნაწილი, მოკვლევითი სამუშაოები. კონცეპტუალური დიზაინი**
 - ქვესადგურის ადგილის შერჩევა (ალტერნატივების განხილვა)
 - 220 კვ ეგხ ტრასის შერჩევა. (ალტერნატივების განხილვა)
 - სიტუაციური სქემა.
 - შერჩეულ 220 კვ ეგხ-ს ტრასაზე ბუფერული ზონის გამოყოფა.
 - ალტერნატიული ანალიზი.
 - ქვესადგურის და ე.გხ-ს პირველადი ცალხაზოვანი სქემის შედგენა დამკვეთთან შეთანხმებით.
 - ქვესადგურის ძალოვანი ელექტრო მოწყობილობების ჩამონათვალი. ძირითადი ტექ.პარამეტრები.
 - საკადასტრო კვლევა. შესასყიდი ნაკვეთების (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული) სრულ ჩამონათვალს.
 - ე.გ.ხ-ს შერჩეული ტრასის მიერ სხვადასხვა კომუნიკაციების ზუსტი კვეთების დადგენა, ზუსტი კვეთების ჩამონათვლის მომზადება და თითოეული კვეთისთვის საჭირო შესათანხმებელი უწყებების იდენტიფიკაცია.
 - შესაბამის კალკულაციებზე დაყრდნობით 220 კვ ეგხ გამტარის და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის სიგრძისა და ტიპის შერჩევა.
 - 220 კვ ეგხ - ს საყრდენების რაოდენობების პირველადი ანგარიში, მათი ფუნდამენტების, იზოლატორების და სახაზო არმატურის ტიპების სავარაუდო მონაცემების შერჩევა. (კუთხოვანას წონები და ფუნდამენტების სავარაუდო ტიპები.)
 - ქ/ვ „ზესტაფონი - 500“-ის ტერიტორიაზე 220კვ ღმ-ში უჯრედის ადგილის და ქვესადგურში შესვლის ტრაექტორიის შერჩევა და შეთანხმება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან.
 - წინასწარი მოცულობათა უწყისი და ხარჯთაღრიცხვა.

შენიშვნა:

- კონცეპტუალურ დიზაინში გათვალისწინებული უნდა იყოს სს „სსე“-ს მიერ გაცემული ტექ.პირობიდან გამომდინარე ხაზთან დაკავშირებული პირობები.
- საკონსულტაციო კომპანიამ გადამცემი ხაზის ტრაექტორიის შერჩევისას უპირატესობა უნდა მიანიჭოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.
- საკონსულტაციო კომპანიამ უნდა წარმოადგინოს გადამცემი ხაზის ტრაექტორიის მინიმუმ 3 ალტერნატიული ვარიანტი. დამკვეთი ალტერნატივად განიხილავს ასევე ქვ/ს „წყალტუბო-220“-ში დაერთების საკითხს

დანართი №2

კომპანიის დასახელება და რეკვიზიტები

თარიღი

საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა

საქონელი/მასალა

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	საერთო ფასი ლარი	მწარმოებელი

მომსახურება/სამუშაოები

დასახელება	მოცულობა	საერთო ფასი ლარი

ხელმომწერი პირი

ხელმოწერა